უბნის საგადასახადო ოფიცერი

უბნის საგადასახადო ოფიცერი - ეს არის შემოსავლების სამსახურის პრევენციის დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელიც კონკრეტულ სამოქმედო უბანზე არის მიმაგრებული და უზრუნველყოფს ამ ტერიტორიაზე მოქმედი გადასახადის გადამხდელის კონსულტირებას საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

უბნის საგადასახადო ოფიცერი გადაადგილდება ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რომლის საშუალებითაც უკავშირდება შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემას/ბაზას და გადასახადის გადამხდელს ადგილზე უწევს სხვადასხვა მომსახურებას.

უბნის საგადასახადო ოფიცრის საქმიანობის ამოცანას საგადასახადო დარღვევების პრევენცია წარმოადგენს და მას არა აქვს გადამხდელის დაჯარიმების უფლება.

რაში ეხმარება გადასახადის გადამხდელს უბნის საგადასახადო ოფიცერი?

- პასუხობს გადამხდელის მიერ საგადასახადო კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციულ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ შეკითხვებს;
- რეკომენდაციას უწევს გადამხდელს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობასთან დაკავშირებით;
- გადამხდელებს აწვდის ინფორმაციას საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- ახორციელებს ვადაგასულ ან/და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის, დოკუმენტების შედგენისა და დადასტურების პროცედურებს;
- ეხმარება გადასახადის გადამხდელს, შემოსავლების სამსახურის სერვისცენტრში მიუსვლელად ადგილზე მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურება (მაგ., ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის და მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება/გაუქმება) და ადგილზე მიიღოს მინიჭებული სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი.
- გადასახადის გადამხდელის საქმიანობაში სამართალდარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში (კერძოდ, გადამხდელი არ არის რეგისტრირებული, არ აქვს სალარო აპარატი) მიუთითებს გადამხდელს დარღვევის არსებობაზე, შესაბამისი დოკუმენტის შედგენის საფუძველზე განუსაზღვრავს ვადას

დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამ ვადის მოქმედების პერიოდში აღნიშნული დარღვევისათვის გადასახადის გადამხდელი არ ჯარიმდება.

გადასახადის გადამხდელის სარგებელი უბნის საგადასახადო ოფიცერთან თანამშრომლობით

- საგადასახადო ოფიცერთან თანამშრომლობით გადამხდელი თავიდან იცილებს საგადასახადო სამართალდარღვევებსა და მასთან დაკავშირებულ სანქციებს/ჯარიმებს;
- გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს, კონსულტაციის მისაღებად ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდეს უბნის საგადასახადო ოფიცერს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უბნის საგადასახადო ოფიცრის მიერ გაწეული კონსულტაცია და მომსახურება არის სრულიად უფასო.

თქვენ იწყებთ სამეწარმეო საქმიანობას და ჯერ არ სარგებლობთ უბნის საგადასახადო ოფიცრის მომსახურებით?

- შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს უბნის საგადასახადო ოფიცრის ვიზიტს თქვენს ობიექტზე, რომელიც გაგიწევთ კვალიფიციურ კონსულტაციას.

საგადასახადო ოფიცერთან თანამშრომლობით თქვენ შეძლებთ, თავიდან აირიდოთ ყოველგვარი უსიამოვნება, რომელიც ეხება საგადასახადო სამართალდარღვევებსა და მასთან დაკავშირებულ სანქციებს; იმავდროულად, იყოთ მუდამ ინფორმირებულნი მიმდინარე სიახლეებზე.

შემოსავლების სამსახური გისურვებთ წარმატებულ საქმიანობას!